

ერთი მეგრულ-ლაზური სიტყვის

სემანტიკური ველისთვის

„თვლის, დათვლის“ სემანტიკას მეგრულ-ლაზურში რამდენიმე სიტყვა აღნიშნავს: **თვალუა** (ყიფშიძე 1914: 242), **ერკება** (ქაჯაია 2001: 556), **კოროცხუა / ოკოროცხუ / ოკორეცხუ** (ყიფშიძე 1914: 261; მარი 1910: 158).

ამათგან **თვალუა** ქართული **თვლ**-ის ფარდია და მხოლოდ მეგრულში გვხვდება: მუ ხანი რე, ვამიძირუქ, **დოთვალი** დო ქეგიშინი – „რა ხანია არ მინახიხარ, დაითვალე და გაიხსენე“ (სამუშია 1971: 49).

ერკება-ც მხოლოდ მეგრულშია და ცოცხალ მეტყველებაში დღეს ნაკლებად გამოიყენება: წიწილენს დამორჩილს **ეარკენანია** „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“ (სახოკია 1989: 267); კითით მაფუ **ერკებული** „თითით მაქვს დათვლილი“ (გუდავა 1975: 162). თუმცა არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ მეგრულში ჩვეულებრივია **ერკება**, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია **კოროცხუა** (ჩიქობავა 1938: 297). **ერკება**-სგან მიღებულია: **ემარკებელი** „დამთვლელი“, **ეაოკებელი** „დასათვლელი“, **ერკებული** „დათვლილი“, **ენარკები** „დანათვალი“, **ენარკებუერი** „დათვლის საფასური“ (ქაჯაია 2001: 556)

კოროცხუა / ოკოროცხუ საერთოქართველური ფორმაა. ზანურ **როცხ**-ს ქართულში **რაცხ**- ძირი შეესატყვისება. ქართ. **რაცხ** – ალ-**რაცხ**-ავ-ს; ალ-**რაცხ**-ვ-ა, ალ-**რაცხ**-ულ-ი / ალ-**რაცხ**-ილ-ი : მეგრ. **როცხ** – ვ-კო-**როცხ**-ენქ „ვთვლი“; დო-ვ-კო-**როცხ**-ი „დავთვალე“; კო-**როცხ**-ილ-ი „დათვლილი“ : ლაზ. **როცხ / რეცხ** – ბ-კო-**როცხ**-უფ „ვთვლი“; დო-ბ-კო-**როცხ**-ი „დავთვალე“; პ-კო-**როცხ**-უფ „ვთვლი“ (ათინ.); პ-კო-**როცხ**-ი „დავთვალე“ (ათინ.); ო-კო-**როცხ**-უ „თვლა, გადათვლა“ (ფენრიხი 2000: 378). არნ. ჩიქობავას მითითებით, მეგრულ-ლაზური ფორმების **კო**- სხვა ფუძეა და აკა „ერთთან“ ავლენს სიახლოვეს (ჩიქობავა 1938: 297).

მაკოროცხალი „დამთვლელი“, ოკოროცხალი „დასათვლელი“, კოროცხილი „დათვლილი“, ნაკოროცხა „დანათვალი“, ნოკოროცხური „დათვლის საფასური“, უკოროცხუ „დაუთვლელი“ (ქაჯაია 2002: 160). მეგრ.: ფარას კოროცხუა უყოსია „ფულს დათვლა უყვარსო“ (ხალხ. სიბრ., 1994: 140) ლაზ.: ფარაქ ოკოროცხუ ყოროფს „ფულს დათვლა უყვარს“ (იქვე, 264), თიში თომა მითის ვარ უკოროცხუნ „თავზე თმა არავის დაუთვლია“ (იქვე, 217), კორეცხი: სუმენეჩ ხინჯიშქულე ნა მოქხნადასენ არ ხინჯის მედახთი „დაითვალე: სამოცი ხიდის შემდეგ რომ შეგხვდება ერთი ხიდი, იმაზე გაიარე“ (დიუმეზილი 2009: 44).

თვლის, დათვლის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა ლაზურში ვერ მოვიპოვეთ.

თვლის, დათვლის მნიშვნელობით გამოყენებულ სიტყვებს მეგრულ-ლაზურში სხვა მნიშვნელობაც შეუძენია: თვალუა / გეთვალუა მეგრულში „მოთქმით ტირილს, გოდებას“ ნიშნავს (ყიფშიძე 1914: 242): ქომონჯი დოღურუ ცოდას დო ქოთვალენს (ხუბუა 1937: 17) „ქმარი მოჰკვდომია საცოდავს და მოთქვამს“; ქედმოჰყაფუუ თეში აზრიქ ნგარა და გურით თვალუა „დამაწყებინა მასზე ფიქრმა ტირილი და გულით მოთქმა“ (სამუშია 1990: 64), ...შქერენული ითხიინდი, დიდა თვალენდ, ინგარდენი „დამშეული მათხოვრობდი, დედა მოთქვამდა, ტიროდა“ (სამუშია 1971: 60). ასევე გაფართოებული სემანტიკის მატარებელია ამ ძირისგან მიღებული სახელწმინდები: მათვალარი, მათვალე „დამთვლელი / დამტირებელი“, ოთვალარი, ოთვალე „დასათვლელი / მოთქმით სატირალი“, ნათვალა „დანათვალი / მოთქმით ნატირალი“...

ლაზურს „მოთქმის“ სემანტიკის გამოსახატავად დათვლის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა გამოუყენებია: ოკორეცხუ (მარი 1910: 157). ლაზურ ლექსიკონებში არ ჩანს, მაგრამ ჩვენი ლაზი ინფორმატორების ზეპირი დამოწმებით, ლაზურში გვხვდება იმავე ძირისგან ნაწარმოები სხვა ფორმაც: კორეცხალა / კოროცხალა „სამგლოვიარო მოთქმა“: ჩილიქ გადაზარტუ ქომოჯის ჰე ბედიხამანწა კოჩის, კოროცხალათე სვარუმტუ ჰე დო ანთეფე ზოპონტუ (ქუთელია 1982: 31) „ცოლი დასტიროდა ქმარს, იმ ბედკრულ კაცს, მოთქმით ალაგებდა და ამას ამბობდა“.

სემანტიკის ასეთი გაფართოება შემთხვევითი არ უნდა იყოს და მიზეზი ტრადიციებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში უნდა ვეძებოთ. ა. ლამბერტი გადმოგვცემს: „მოტირალი რომ მიუახლოვდება იმ ადგილს, სადაც მიცვალებული ასვენია, მეზარეები ორივე მხრით დაუდგებიან და **რიგ-რიგად** ტირილს განაგრძობენ...“ (ლამბერტი 1938: 60); მიცვალებულის დატირების სცენას ს. მაკალათია ასე აღწერს: „[მიცვალებულს]... პირველად ზარით დაატირებდნენ ჭირისუფალს, დედ-მამას, დას, ძმას... მათ შემდეგ, **რიგით** (ხაზგასმა ჩვენია – მ.ბ.) ატირებდნენ დანარჩენ ჭირისუფალს... ეს გრძელდებოდა ბოლომდის“ (მაკალათია 2006: 352-353). სხვაგან ვკითხულობთ: „ერთი ჭირისუფალი, დედა ან და, მოთქმით დაიტირებდა მიცვალებულს, სხვები შეუბანებდნენ და ქვითინებდნენ. ხშირად იცოდნენ გამოპასუხებაც, ვინც ახალი მიცვალებულის პატრონი იყო, იგი დაატირებდა თავის მიცვალებულსაც და სთხოვდა საიქიოში წაეღო ამბავი და გადაეცა მათი მწუხარების შესახებ“ (აბაკელია 1999: 312). როგორც ამ ჩანაწერებიდან ჩანს, მოთქმა თავისი არსით რიგითობას და გარკვეულ ჩამონათვალს გულისხმობდა – მოზარეები რიგის მიხედვით ჩამოთვლიდნენ მიცვალებულის სიქველევებს, ჭირისუფლები თავიანთ მიცვალებულთან „აბარებდნენ“ ამბებს და ა. შ.

ლაზურ სინამდვილეში ქრისტიანული და მუსულმანური ტრადიციების აღრევამ დატირების პროცესში გარკვეული ცვლილებები შეიტანა (გასული საუკუნის 30-იანი წლების მასალაში მუსლიმანური წესებია აღწერილი, საუკუნეების მიჯნაზე ჩაწერილ ტექსტებში კი – ქრისტიანული), მაგრამ ერთი დეტალი შენარჩუნებულია: **მენდრაშენ ნა მოხთეს წიოლეი, მგარინეი ამულუნან ოხოიშა დო დოვლაქიტენან მუშეფეს, ღუეიში კოჩეფეს** „შორიდან მოსული [ახლობლები] წივილით, ტირილით შევლენ ოთახში და ჩაეხუტებიან თავისებს, მკვდრის ნათესავებს („კაცებს““ (კალანდია 2008: 84).

როგორც ჩანს, სწორედ ამ ტრადიციებმა (მონაცვლეობით დატირებამ, მიცვალებულის ღირსებების ჩამოთვლამ, სხვა გარდაცვლილთან „ამბების დაბარებამ“) განაპირობა ჩვენი განსახილველი სიტყვების სემანტიკის გადაწევა.

მითითებული ლიტერატურა:

აბაკელია 1999 – ნ. აბაკელია, არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში, დაკრძალვისა და გლოვის წესები სამეგრელოში. სამეგრელო. კოლხეთი. ოდიში. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრების და ეთნოლოგიის ნარკვევები. თბილისი

გუდავა 1975 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ. თბილისი

დიუმეზილი 2009 – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, ლაზური ტექსტების ქართული ვერსია და ლექსიკონი შეადგინა მანანა ბუკიამ, თბილისი

კალანდია 2008 – თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბილისი

ლამბერტი 1938 – არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი

მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб

ხალხ. სიბრ., 1994 – ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები: რ. შეროზია და ო. მემიშიში, თბილისი

სამუშია 1971 – ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ტექსტები). მოამზადა კ. სამუშიამ. თბილისი

სამუშაო 1990 – ვ. სამუშაო, ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები, თბილისი

სახოკია 1989 – თედო სახოკიას არქივიდან (დაბადების 120 წლისთავისათვის), II, მეგრული ანდაზები და გამოთქმები, იკე, XXVIII, თბილისი

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი

ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი

ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ

Manana Bukia

On a semantic field for a Megrel-Laz word

Abstract

This article concerns a course of expansion of the semantics for Megrel-Laz words referring a counting process. Namely Megrel word „Tvalua“ and Laz „Okorocxu / korocxala“, in addition to their original/initial meanings, denote “Mourn, lament ”. The reasons for this should be explored in traditions. The considered terms belong to a discipline of ethno-linguistics.

Манана Букия

Об семантическом поле одного мегрельско-лазского слова

(Резюме)

В статье рассматривается процесс семантического расширения мегрельско-лазских слов, обозначающих счет, а именно, мегрельское слово თვალუა и лазское слово ოკოროცხუ / კოროცხალა “считать” наряду со своим основным значением обозначает “плач, траурный плач, крики”. Причины этого явления надо искать в традициях. Рассмотренный термин относится к этно-лингвистической сфере.

ლინგვისტური კართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის
პრობლემები, ტ. II, თბილისი, 2010, გვ. 40-44

Problems of linguistic Kartvelian and Abkhazian studies, Vol. II, Tbilisi,
2010, p. 40-44